დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი
საბჭოს დადგენილება #16, 22/04/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

კვლევის განვითარების პოლიტიკა

თბილისი
2024

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარება 3

მუხლი 3. კვლევის განვითარების პოლიტიკა და მიზნები 4

მუხლი 4. კვლევის განვითარების პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგია 5

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტები 6

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები 6

მუხლი 7. კვლევებთან დაკავშირებული ინსტიტუციური მონაცემები 7

მუხლი 8. სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალები 7

მუხლი 9. კვლევითი ცენტრები 8

მუხლი 10. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 9

მუხლი 11. ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვა და განვითარების ხელშეწყობა 9

მუხლი 12. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები 10

მუხლი 13. სწავლისა და კვლევის ინტეგრირება 12

მუხლი 14. კვლევების ინტერნაციონალიზაცია 12

მუხლი 15. კვლევითი საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება 13

მუხლი 16. დასკვნითი დებულება 14

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს კვლევის განვითარების პოლიტიკა ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, უნივერსიტეტში მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტაციას, უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

1.2. წინამდებარე დოკუმენტის დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს კვლევის განვითარების პოლიტიკა, რისი საშუალებითაც უნივერსიტეტი წარმოადგენს ხედვას, თუ როგორ მოხდება:

ა) კვლევითი საქმიანობის მიმართულების ჩამოყალიბება, ხელშეწყობა და განვითარება;
ბ) სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება;
გ) კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების განხორციელება;
დ) ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვა ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების თვალსაზრისით და მათი ჩართვა კვლევით საქმიანობაში;
ე) კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმისა და შეფასების შედეგების აღწერა/ანალიზი და მათი გამოყენება შემდგომი კვლევითი საქმიანობის განვითარებისთვის.

1.3. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას, კერძოდ: სწავლა-სწავლების და კვლევის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეთავაზებას, რომლის შედეგადაც უნივერსიტეტი ამზადებს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, დემოკრატიული ფასეულობების მქონე თაობას. .

მუხლი 2. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარება

2.1. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარების ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის განვითარება;
ბ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა;
გ) სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით გრანტებისა და პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
დ) აკადემიური, მოწვეული პერსონალის, დოქტორანტურის და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობა და მხარდაჭერა;
ე) კვლევითი ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობა;
ვ) კვლევის ინტერნაციონალიზაცია.

2.2. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული მხარეები არიან:

ა) აკადემიური პერსონალი;
ბ) მოწვეული პერსონალი;
გ) კვლევითი ცენტრები;
დ) დოქტორანტურის და მაგისტრატურის სტუდენტები;
ე) ახალგაზრდა მკვლევარები;
ვ) პოსტდოქტორანტები.

2.3. უნივერსიტეტში კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობს პრორექტორი კვლევით დარგში, რომელიც ზედამხვედველობას უწევს:
ა) კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურს;
ბ) აკადემიური წერის ცენტრს;
გ) ბიბლიოთეკას;
დ) გამომცემლობას.

2.4. პრორექტორი კვლევით დარგში კოორდინაციას უწევს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების მოძიებას, საპროექტო წინადადების მომზადებას და ახდენს აკადემიური პერსონალის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას სამეცნიერო-კვლევითი/საგრანტო პროექტების კუთხით; უზრუნველყოფს კვლევის კომპონენტის დაფინანსების შესაძლებლობების მოძიებას და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას უზიარებს და მხარდაჭერას უცხადებს შესაბამის პერსონალს;

მუხლი 3. კვლევის განვითარების პოლიტიკა და მიზნები

3.1. კვლევის განვითარების პოლიტიკა და მიზნები გულისხმობს:

ა) კვლევის განხორციელების ზოგად პოლიტიკას;

ბ) სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლებასა და პროდუქტიულობის გაზრდას;

გ) სამეცნიერო კვლევის ორგანიზების, განვითარების და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრას;

დ) სამეცნიერო ჟურნალების გამოცემას, კვლევითი ცენტრების ფუნქციონირებას, საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებას და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას;

ე) სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლებას;

ვ) კვლევის ინტეგრირებას სასწავლო პროცესში;

ზ) ახალგაზრდა თაობის მკვლევარების, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ინტეგრირებას და სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის გაზრდას;

თ) კვლევის დაფინანსების შიდა საუნივერსიტეტო სისტემის მართვას;

ი) საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმებს;

კ) კვლევის ინტერნაციონალიზაციას;

მუხლი 4. კვლევის განვითარების პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგია

4.1. კვლევის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის ფორმირების პროცესში უსდ-მ გაითვალისწინა უნივერსიტეტის საქმიანობის და განმსაზღვრელი ძირითადი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნები, აგრეთვე, შესწავლილ იქნა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება; დოკუმენტის შემუშავების საწყის ეტაპზე მოხდა ძირითადი მიმართულებების იდენტიფიცირება, რომლებიც ეფუძნებოდა უნივერსიტეტის მისიას, ძირითად ღირებულებებს და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებს; კვლევის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა გუნდურობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა;

4.2. კვლევის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის პროცესში განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები და ამოცანები; კვლევის განვითარების პოლიტიკა და სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობები და ვადები განისაზღვრება კვლევის მიმართულებებით ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან;

4.3. უნივერსიტეტის კვლევის განვითარების პოლიტიკა მომზადდა კვლევით დარგში პრორექტორის მიერ, კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურთან, სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, სკოლებთან და სტრატეგიული განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით; კვლევის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ასევე გამოყენებული იყო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით წინა წლების მონაცემები; ჯგუფის მუშაობის შედეგად მოხდა კვლევითი პოტენციალის, გამოწვევების და ამოცანების იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტივობების გაწერა სამოქმედო გეგმაში;

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტები

5.1. კვლევის განვითარების პოლიტიკა ორიენტირებულია შემდეგ პრიორიტეტებზე:

ა) **კვლევების განვითარება:** დაფუძნებულია უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებზე და ხორციელდება ინდივიდუალურად/ჯგუფურად აკადემიური პერსონალისა და მაგისტრატურა/დოქტორანტურის სტუდენტების ჩართულობით;

ბ) **კვალიფიციური სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა:** კვლევითი უნარების/შესაძლებლობების განვითარების/გაზიარების თვალსაზრისით; სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება;

გ) **ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვა/სტუდენტების ჩართულობა კვლევაში:** ახალი ცოდნის გენერირება და გაზიარება/მათი ჩართვა კვლევით საქმიანობაში;

დ) **კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება:** კვლევისთვის შესაფერისი გარემოს შექმნა, სამეცნიერო კვლევითი ცენტრების, ლაბორატორიების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა, საბიბლიოთეკო რესურსების, ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით უზრუნველყოფა;

ე) **აკადემიური კეთილსინდისიერება:** აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კულტურის მხარდაჭერა/ცნობიერების ამაღლება, სახელმძღვანელო პრინციპებით უზრუნველყოფა, პლაგიატის აღმოფხვრა, პლაგიატის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება;

ვ) **აკადემიური წერის უნარების განვითარება:** სტუდენტების აკადემიური წერის უნარების განვითარება და სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების წახალისება;

ზ) **კვლევების მხარდაჭერა/ხელშეწყობა:** კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების განხორციელება; კვლევის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებით უზრუნველყოფა; სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, სკოლების ბაზაზე არსებული სამეცნიერო ჟურნალების, ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციების, სტუდენტური კონფერენციების, პროექტების მხარდაჭერა;

თ) აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მეცნიერების, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო/სამეცნიერო/კვლევითი **ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობა;**

ი) **მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა;**

კ) **კვლევითი საქმიანობის შეფასება:** კვლევების ხარისხის შეფასების მექანიზმისა და შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება შემდგომი კვლევითი საქმიანობის განვითარებისთვის;

ლ) **კვლევების ინტერნაციონალიზაცია.**

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები

6.1. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თითოეულ დარგში განხორციელებული

კვლევა აქტუალურია უნივერსიტეტის შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის:

ა) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:
ბ) კომპიუტერული მეცნიერებები/ტექნოლოგიები;
გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
დ) სოციალური მეცნიერებები;
ე) ჰუმანიტარული მეცნიერებები;
ვ) საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მმართველობის მეცნიერებები;
ზ) სამართალმცოდნეობა;

მუხლი 7. კვლევებთან დაკავშირებული ინსტიტუციური მონაცემები

7.1. უნივერსიტეტის ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება (კვლევებთან დაკავშირებული ინსტიტუციური ღირებული მასალები ასეთია):

ა) სამეცნიერო ჟურნალები და პუბლიკაციები, როგორც უნივერსიტეტის, ასევე მაღალრეიტინგულ ჟურნალებში;
ბ) აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული წიგნები და სახელმძღვანელოები;
გ) საერთაშორისო კონფერენციები, სიმპოზიუმები როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების ჩართულობით;
დ) ყოველწლიური საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციის გამართვა;
ე) სკოლების ბაზაზე არსებული კვლევითი ცენტრების თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები სტუდენტების აქტიური ჩართულობით;
ვ) ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები;
ზ) დოქტორანტურის შემდგომი კვლევითი პროექტების დაფინანსება.

მუხლი 8. სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალები

8.1. უნივერსიტეტი 2012 წლიდან (ხოლო სამართლის სკოლა 2019 წლიდან) ყოველწლიურად გამოსცემს (https://journal.ibsu.edu.ge/) ქართულ და ინგლისურენოვან საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში; გამოცემული ჟურნალების ერთ-ერთი მთავარი მიზანია კვლევით აქტივობებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების ჩართულობა, ხელშეწყობა და ფინანსური მხარდაჭერა; ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად სტატიები იგზავნება ადგილობრივი და საერთაშორისო მკვლევარებისგან; ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები

დაკომპლექტებულია საერთაშორისო დონეზე აღიარებული დარგის სპეციალისტებითა და მკვლევარებით; ჟურნალში გამოქვეყნებამდე, პუბლიკაციები იგზავნება გარე საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან რეცენზირებისთვის;

8.2. უნივერსიტეტში გამოიცემა შემდეგი სამეცნიერო ჟურნალები:

ა) შავი ზღვის რეგიონში განათლების ჟურნალი (https://jebs.ibsu.edu.ge);
ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი (https://jh.ibsu.edu.ge/);
გ) სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალი (https://jss.ibsu.edu.ge/);
დ) ტექნიკურ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ჟურნალი (https://jtst.ibsu.edu.ge/);
ე) ბიზნესის ჟურნალი (https://jb.ibsu.edu.ge/);
ვ) სამართლის ჟურნალი (https://www.ibsu.edu.ge/research/ka/journals/law).

8.3. უნივერსიტეტში გამოიცემა შემდეგი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციები:

ა) აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონფერენცია: https://silkroad.ibsu.edu.ge/
ბ) საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლების, ენის და ლიტერატურის საკითხებზე (IRCEELT): https://ircelt.ibsu.edu.ge/
გ) ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია: https://ibsu.edu.ge/ge/scientific/american-studies/
დ) ახალგაზრდა მკვლევარების საერთაშორისო კონფერენცია: https://ibsu.edu.ge/ge/interc/about/
ე) მულტიდისციპლინარული საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია: https://ibsu.edu.ge/ge/scientific/student-conference/

მუხლი 9. კვლევითი ცენტრები

9.1. კვლევითი ცენტრების მიზანია:

ა) კვლევების წარმოება შესაბამის სფერო(ებ)ში;
ბ) სწავლების, სწავლის და კვლევის უზრუნველყოფა შემეცნებითი და ანალიტიკური კომპონენტების ჩართულობით;
გ) სტუდენტების სტაჟირება ცენტრის ბაზაზე, მათი ჩართულობა კვლევით პროექტებში, ხარისხიანი პუბლიკაციების შექმნა და კვლევის შედეგების პუბლიკაცია;
დ) კვლევის ინტეგრირება სასწავლო პროცესში: სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის მომზადება, დისემინაცია და სასწავლო კომპონენტში ჩართვა;
ე) უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, საერთაშორისო მკვლევარებთან ერთად ერთობლივი სტატიების შექმნა;
ვ) სტუდენტების წახალისება უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების მიზნით;
ზ) სტუდენტების წახალისება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით;

თ) სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება მკვლევარების აქტიური ჩართულობით;
ი) საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონტაქტების დამყარება/გაფართოვება, საგრანტო პროექტების შემუშავება, ერთობლივი ღონისძიებების გამართვა და ერთობლივი კვლევების ხელშეწყობა/ინტერნაციონალიზაცია.

9.2. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი კვლევითი ცენტრი:

ა) მულტიდისციპლინური კვლევების ცენტრი;
ბ) საერთაშორისო კვლევების ცენტრი.

მუხლი 10. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

10.1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიზანია:

ა) სასწავლო და კვლევითი პროცესის ეფექტურად განხორციელების თვალსაზრისით საჭირო წიგნადი ფონდის უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო ერთეულების გაზრდა, განათლების, მეცნიერების და კვლევის ხელშეწყობა;
ბ) უნივერსიტეტის პერსონალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საბიბლიოთეკო რესურსის სრულად და ეფექტურად გამოყენება;
გ) ბიბლიოთეკაში სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების ხელმისაწვდომობა;
დ) მკითხველთათვის კომფორტული გარემოს შექმნა;
ე) საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა;
10.2. ბიბლიოთეკაში არსებული ფონდი მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების განხორციელებისთვის აუცილებელ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას ქართულ და უცხოურ ენებზე; სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება ბიბლიოთეკის ფონდს; ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზებში, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით; სილაბუსების მოთხოვნების შესაბამისად, მუდმივად მიმდინარეობს სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის შეძენა და ფონდის შევსება/განახლება უახლესი ლიტერატურით;
10.3. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას/ტრენინგების ორგანიზებას;

მუხლი 11. ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვა და განვითარების ხელშეწყობა

11.1. უნივერსიტეტის პრიორიტეტია მაგისტრატურა/დოქტორანტურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვა და მხარდაჭერა/წახალისება, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად სამეცნიერო-კვლევით

პროექტებში, პუბლიკაციებისა და სახელმძღვანელოების მომზადებაში, სხვა აქტივობებში ჩართულობა და მათი მხარდაჭერა, კერძოდ:

ა) სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში დასაქმება;
ბ) ცოდნისა და მაღალი ხარისხის სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნის მიზნით, უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება და კვლევითი პოტენციალის განვითარება;
გ) საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიღება;
დ) სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობა;
ე) "კვლევის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების წესის" შესაბამისად, კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის მხარდაჭერა და დაფინანსება;
ვ) სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაზრდის მიზნით საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან ინტერნაციონალიზაცია;
ზ) ღირებული ტიტულის/ჯილდოს "საუკეთესო მეცნიერი-მკვლევარი აკადემიური პერსონალის" მსგავსად, "საუკეთესო მკვლევარი-სტუდენტის" გამოვლენა და დაჯილდოვება;

მუხლი 12. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები

12.1. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია სამეცნიერო, ერთობლივი კვლევების ორგანიზება და მხარდაჭერა, კვლევაში ჩართული და კვლევის მხარდაჭერასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისა და სტრუქტურული ერთეულების, ასევე, საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების განსაზღვრა და კვლევის განხორციელების ზოგადი პოლიტიკის მუდმივი განვითარება და ფინანსური მხარდაჭერა;
12.2. უნივერსიტეტში არსებული კვლევის პოლიტიკის შესაბამისად, უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის გაზრდა;
12.3. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა ხორციელდება უსდ-ში არსებული დოკუმენტების შესაბამისად:
ა) "კვლევის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების წესი";
ბ) "აკადემიური პერსონალის აფილირების წესი".
გ) უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ნორმატიული დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
12.4. კვლევითი საქმიანობის წახალისებისა და მხარდაჭერის მიზანს წარმოადგენს:
ა) აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარებისა და სტუდენტების ჩართულობით სამეცნიერო საქმიანობის წახალისება და მხარდაჭერა;
ბ) აკადემიური პერსონალის და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის უნივერსიტეტის და სხვა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა ან/და საერთაშორისო გამოცემებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების ხელშეწყობა;

გ) აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების/კვლევითი ცენტრების თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების გამოცემების მხარდაჭერა;
დ) უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორების/რედაქტორების ასისტენტების ფინანსური მხარდაჭერა ჟურნალის თითოეული გამოცემისთვის;
ე) დოქტორანტურის შემდგომი კვლევითი პროექტის დაფინანსება/თანადაფინანსება;
ვ) კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის კვლევითი უნარების ამაღლება;
ზ) ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში წარდგენილი კვლევების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების საკონკურსო პროექტების მხარდაჭერა;

12.5. კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები:

ა) კვლევისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, კომპიუტერული ლაბორატორიებითა და შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფა;
ბ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესისა და აფილირების წესის განსაზღვრა;
გ) სასწავლო კურსების მეშვეობით კვლევითი კომპეტენციების განმავითარებელი ცოდნის მიწოდება;
დ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა;
ე) საერთაშორისო კონფერენციების მოწყობა/აკადემიური პერსონალის, მკვლევარების, სტუდენტების მობილობა/მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში, ა.შ. მონაწილეობის მიზნით;
ვ) კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან ურთიერთობის გაღრმავება;
ზ) კვლევის კომპეტენციების გადაცემა ტრენინგებისა და ვორქშოფების მეშვეობით და კვლევითი შედეგების დისემინაცია;
თ) საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებისთვის ფინანსური ხელშეწყობა;
ი) კვლევით გრანტებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
კ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, პროექტების, გრანტების და ა.შ. შესახებ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება და მხარდაჭერა;
ლ) კვლევებისა და პროექტების (შიდა/გარე) შემუშავებასა და მონაწილეობაში მხარდაჭერა;
მ) საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან წვდომა;
ნ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმების განსაზღვრა; აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კულტურის მხარდაჭერა, პლაგიატის აღმოფხვრა, პლაგიატის პრევენციის უზრუნველყოფა, პლაგიატთან ბრძოლის არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;

12.6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმებია კვლევითი ცენტრების/კვლევითი პოტენციალის პროდუქტიულობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება უსდ-ს სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;

12.7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სხვადასხვა წყაროდან, კერძოდ:

ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი;

ბ) საგრანტო პროექტებისთვის სხვადასხვა სამეცნიერო (ადგილობრივი და საერთაშორისო) ფონდებიდან მოზიდული თანხები;

გ) სხვა გარე წყაროები.

მუხლი 13. სწავლისა და კვლევის ინტეგრირება

13.1. სწავლისა და კვლევის ინტეგრირება უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია, ვინაიდან, კვლევის შედეგები გამოყენებულ უნდა იქნას სასწავლო პროცესში, განსაკუთრებით სადოქტორო საფეხურზე; აკადემიური პერსონალი და ახალგაზრდა მეცნიერები თავისი კვლევის შედეგებს უშუალოდ იყენებენ სტუდენტებისთვის ახალი ცოდნის გადაცემის პროცესში, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროგრამების განვითარებას და დახვეწას და აძლიერებს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს;

მუხლი 14. კვლევების ინტერნაციონალიზაცია

14.1. კვლევების ინტერნაციონალიზაციას ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა, საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მოპოვება და პროექტების განხორციელება; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი პუბლიკაციების მომზადება და მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოცემა;

14.2. ინტერნაციონალიზაციის განვითარების თვალსაზრისით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები:

ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო კვლევებსა და პროექტებში ჩართულობა/პარტნიორ უნივერსიტეტებთან კვლევითი მიმართულებით ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მოპოვება;

გ) საერთაშორისო მკვლევარების კვლევით ცენტრებში დასაქმება;

დ) უნივერიტეტის მიერ გამოცემული სამეცნიერო ჟურნალების ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

ე) საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება და ქსელის გაფართოვება/აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა;
ვ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით, კვლევითი მიმართულებით საერთაშორისო პარტნიორებთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თანამშრომლობა: ერთობლივი პუბლიკაციების მომზადება და მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოცემა; სემინარებისა და ვორქშოფების დაგეგმვა/განხორციელება;
ზ) სადოქტორო პროგრამების ინგლისურ ენაზე განხორციელება და დისერტაციის უცხოელი ხელმძღვანელების/თანახელმძღვანელების შესაძლებლობების მოძიება;
თ) განხორციელებული კვლევების შედეგების პოპულარიზაცია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
ი) გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების გაზრდა კვლევის განვითარების თვალსაზრისით;
კ) ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობა;
ლ) უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა სამაგისტრო ნაშრომებისა და სადოქტორო დისერტაციების უცხოელი სამეცნიერო ხელმძღვანელების/ოპონენტების მოძიების თვალსაზრისით;
მ) საერთაშორისო მკვლევარების ჩართულობა სკოლების სამეცნიერო ჟურნალების საგამომცემლო კოლეგიაში;

მუხლი 15. კვლევითი საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება

15.1. ყოველი აკადემიური წლის ბოლოს ხორციელდება კვლევითი საქმიანობის და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის/სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საქმიანობის პროდუქტიულობის მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი აფილირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული და აკადემიური საქმიანობის ანგარიშში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ნაშრომების, პუბლიკაციების, გამოქვეყნებული წიგნების, მონოგრაფიების, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის, განხორციელებული პროექტების, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის შესახებ; ანგარიშის თითოეული კომპონენტისთვის უნივერსიტეტში დადგენილია შესაბამისი ქულები; წლის ბოლოს ხდება ყველაზე პროდუქტიული აკადემიური პერსონალის გამოვლენა და დაჯილდოვება;

15.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესაბამისად:
ა) საერთაშორისო ციტირების ინდექსის მქონე ან საერთაშორისო რეფერირებად ინდექსირებად ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
ბ) ადგილობრივი ან საერთაშორისო გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული წიგნები;

გ) საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი/საგანმანათლებლო პროექტის ხელმძღვანელობა/ჩართულობა;
დ) ციტირების ინდექსის (h-ინდექსი) მაჩვენებელი;
ე) საერთაშორისო სამეცნიერო ჯილდო ან პატენტი;
ვ) რეფერირებული ან პროფესიული ჟურნალის მთავარი რედაქტორობა;
ზ) სამეცნიერო/პროფესიული ჟურნალის რეცენზენტობა;
თ) ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა;
ი) რეფერირებული სამეცნიერო ან პროფესიული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრობა;
კ) საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ხელმძღვანელობა;
ლ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე მთავარი გამომსვლელის სტატუსი;
მ) საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მხარდაჭერილ პროექტში მონაწილეობა;
ნ) ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებსა და ვორქშოფებში მონაწილეობა;
ო) სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა;

მუხლი 16. დასკვნითი დებულება

16.1. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე;

16.2. ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება წინამდებარე დოკუმენტში შედის მისი მიღებისათვის დადგენილი წესით.